



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030472242807719

№ 04-479/ო

28 / თებერვალი / 2019 წ.

ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული/გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 684 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.7.) და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.6.) გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის (დანართი 1.6.3. სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.5. კოხლეარული იმპლანტებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.6. ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯეროვან შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან პაპიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

ბ) გრიგოლ რობაქიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;

გ) სოფიო კობახიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილმა ინსპექტირების ჯგუფმა განახორციელოს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ სფეროში სააგენტოს სახელით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით მიმზღებლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ინსპექტირება ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, საჭიროებების შესაბამისად.

3. კონტროლს ბრძანების შესრულებასა და ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაზე განვახორციელებ პირადად.


4. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N601 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „ყრუთა კომუნიკაციის ქვეპროგრამით“ და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული/გასაფორმებელი

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის N04-32/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრონულად 

თამაზ მოდებაძე